ს.ს.ი.პ კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N67-ა

ქ. თბილისი 10 სექტემბერი 2020 წელი

სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“ სასწავლო და სამეურნეო მასალების, საკანცელარიო და სხვა საქონლის შემოტანა-ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ მთავარი ბუღალტრის ირმა ხუციშვილის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერს წარმოდგენილია N810450 სამსახურებრივი ბარათით დასამტკიცებლად დანართის სახით მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის წესი.

“პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, სსიპ - კოლეჯის “სპექტრი” წესდების მე-5 მუხლის “ი” ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“სასწავლო და სამეურნეო მასალების, საკანცელარიო და სხვა საქონლის შემოტანა-ჩამოწერის წესი №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე და კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე